სპორტ ინფო

ყოველდღიური სპორტული გაზეთი

№ 50(6640) 11 მარტი 2022 წ. პარასკევი ფასი 50 თეთრი

ჩელსიმ სტუმრად ნორვიჩს მოუგო და ლივერპულთან ჩამორჩენა 7 ქულამდე შეამცირა

ნორვიჩი 1:3 ჩელსი

მესამე გოლი ჰავერცმა გაიტანა

ბარსელონამ გოლის გატანა ბოლო 17 მატჩში პირველად ვერ მოახერხა

ბარსელონა 0:0 გალათასარაი

კატალონიელებს 9-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ - 6 მოგება, 3 ფრე.

პსჟ-ს პრეზიდენტი მსაჯებთან შეჭრას ცდილობდა, მაგრამ ოთახები აერია, რეალის დელეგატს კი, მოკვლით ემუქრებოდა

2 გვ.

მაურინიოს რომამ კონფერენს ლიგაზე 1/8 ფინალის პირველ მატჩში იმარჯვა

ვიგანი 0:1 რომა

მანჩესტერი ლევანდოვსკის შეძენას გეგმავს, რომელიც გაკვირვებულია იმით, რომ ბაიერნი ახალ კონტრაქტზე არ ესაუბრება

8 გვ.

ბრიტანეთში აბრამოვიჩს სანქციები დაადეს და იგი ჩელსის გაყიდვას ვეღარ შეძლებს

ჩელსი მატჩების ბილეთებს ვეღარ გაყიდის, ჯლუბს ტრანსფერები და ფეხბურთელებთან კონტრაქტების გაგრძელება აუკრძალეს

5 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენზემა ჩემპიონთა ლიგის კვირის საუკეთესო ფეხბურთელი და ტურნირის ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი ჰეთ-თრიკის ავტორია

ქარიმმა და ჯილიან მბაპემ მატჩის შემდეგ 15 წუთი ისაუბრეს

ესპანური „მარკას“ ცნობით, ჩემპიონთა ლიგის მატჩის შემდეგ, „რეალისა“ და პსჟ-ს ფორვარდებმა, ქარიმ ბენზემამ და კილიან მბაპემ „სამეფო კლუბის“ გასახდელთან ისაუბრეს.

ფრანგ ფეხბურთელებს შორის საუბარი 15 წუთს გაგრძელდა და მასში კილიანის აგენტი და დედაც მონაწილეობდნენ. ისინი თამაშს ტრიბუნიდან ადევნებდნენ თვალს და შემდეგ, ქვედა სივრცეში ჩავიდნენ. „მარკა“ ვარაუდობს, რომ თემა „რეალში“ მბაპეს გადასვლა იყო. ეჭვი არავის ეპარება, რომ ახალგაზრდა ვარსკვლავი მომდევნო სეზონიდან „რეალის“ ღირსებას დაიცავს.

პსჟ-ს კარში გატანილი 3 გოლით ბენზემა ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი ჰეთ-თრიკის ავტორი გახდა. მან ეს 34 წლისა და 80 დღის ასაკში შეძლო. წინა მიღწევა ასევე ფრანგს ეკუთვნოდა. „ჩელსის“ ყოფილმა და ამჟამად „მილანის“ ფორვარდმა ოლივიე ჟირუმ ჰეთ-თრიკი 2020-2021 წლების ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე „სევილიასთან“ მატჩში 34 წლისა და 63 დღის ასაკში შეასრულა.

გუშინ, უეფამ იგი ლიგაზე კვირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. ტიტულზე წარდგენილები ასევე იყვნენ: რობერტ ლევანდოვსკი (ბაიერნი), ფერნანდინიო (მანჩესტერ სიტი) და მილან შკრინიარი (ინტერი).

გარი ლინეკერი: ბენზემა ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ცხრიანია

რა თქმა უნდა, ბენზემას შესახებ ყველა საუბრობს. ინგლისის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა, ექსპერტმა გარი ლინეკერმა რეალი-პსჟ-ს მატჩის შემდეგ სოციალურ ქსელში ასეთი რამ დაწერა:

„ეჭვგარეშეა, რომ ქარიმ ბენზემა ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო „ცხრიანია“.

პსჟ-ს პრეზიდენტი მსაჯებთან შეჭრას ცდილობდა, მაგრამ ოთახები აერია, რეალის დელეგატს კი, მოკვლით ემუქრებოდა

მადრიდის „რეალთან“ ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მატჩში განცდილმა მარცხმა (1:3) ფრანგული პსჟ-ს პრეზიდენტი ნასერ ალ ხელაიფი წყობილებიდან გამოიყვანა. იგი თვლის, რომ ქარიმ ბენზემას პირველ გოლამდე ეპიზოდში „რეალის“ ფრანგი ფორვარდი პსჟ-ს მეკარე ჯანლუიჯი დონარუმას წინააღმდეგ თამაშის წესებს არღვევდა და არბიტრს გოლი არ უნდა ჩაეთვალა.

საფინალო სასტვენის შემდეგ, ალ ხელაიფიმ სწრაფად დატოვა ლოჟა და „სანტიაგო ბერნაბეუს“ ტრიბუნის ქვედა სივრცისკენ გაიქცა, რათა დანი მაკელის სამსაჯო ბრიგადისთვის პრეტენზიები წაეყენებინა.

ყატარელი ბიზნესმენი განრისხებული იყო, გზად ნივთებს ხელს კრავდა და ამაოდ ეძებდა მსაჯთა ოთახს. იგი შემთხვევით „რეალის“ დელეგატ კარლოს დავილეს ოთახში აღმოჩნდა, საიდანაც ძლივს გამოიყვანეს. მას რამდენიმე ადამიანი აკავებდა.

„რეალის“ დელეგატი სიტუაციის ვიდეოზე გადაღებას შეეცადა, რამაც ალ ხელაიფი კიდევ უფრო გააცოფა. იგი მას მოკვლით დაემუქრა. პსჟ-ს პრეზიდენტი მისმა დაცვამ შეაჩერა: „ახლავე წაშალე, თორემ მოგკლავ“, _ ყვიროდა ალ ხელაიფი.

მთავარმა მსაჯმა დანი მაკელიმ მომხდართან დაკავშირებით უეფაში იჩივლა. იგი აღნიშნავს, რომ ალ ხელაიფისთან ერთად „რეალის“ დელეგატს პსჟ-ს სპორტული დირექტორი ლეონარდოც ერჩოდა, რომელიც მასთან მიიჭრა და ტელეფონზე გადაღებული ვიდეოს წაშლა მოსთხოვა. ლეონარდო აგრესიულად იქცეოდა და ისიც ცდილობდა მსაჯების ოთახში შეჭრას. როდესაც მსაჯებმა მას გასვლა მოსთხოვეს, ლეონარდომ კარში ჩადგა, დამცინავად დაარტყა ხელი ერთ-ერთი ასისტენტის ალამს და დაამტვრია.

Goal.com-ი წერს, რომ უეფა სკანდალის ამსახველი ვიდეოჩანაწერის ფრაგმენტებს მაინც მიიღებს და პსჟ-ს შეფობას სასჯელი ემუქრება.

კარლო ანჩელოტი: ბენზემამ მთელი მადრიდი გააბედნიერა

...ბოლო 30 წუთში მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი იყო, რეალს რაღაც განსაკუთრებული მაგია აქვს...

მადრიდის „რეალის“ მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ჩემპიონთა ლიგაზე ფრანგულ პსჟ-სთან 3:1 მოგებული საპასუხო მატჩის შემდეგ, გუნდის თამაში შეაფასა და ჰეთ-თრიკის ავტორი ქარიმ ბენზემა შეაქო:

_ იოლი არ იყო, მაგრამ მოთმინება გამოვავლინეთ. ბენზემას მხრიდან კარგმა პრესინგმა პირველი გოლი მოგვიტანა და იმ მომენტის შემდეგ, „სანტიაგო ბერნაბეუს“ მაგიამ თავისი როლი ითამაშა. ამ გოლმა ძალები შეგვმატა და მეტოქე დააბნია. ბოლო 30 წუთის განმავლობაში მოედანზე ერთი გუნდი იყო...

_ როდესაც კარგად ვთამაშობთ, ყველაფერი შეგვიძლია. მატჩის დასაწყისში ბევრი რამ არ გამოგვდიოდა, მაგრამ თამაშის დინამიკის შეცვლა მოვახერხეთ. ხასიათი გამოვავლინეთ...

_ ჩვენ გუნდს რაღაც ფანტასტიკური მაგია გააჩნია. ასეთი საღამოები არც ისე ბევრი მქონია. ეს დაუვიწყარი იყო. დღეს ბენზემამ მთელი მადრიდი გააბედნიერა, _ განაცხადა ანჩელოტიმ.

ევროპის ლიგა

1/8 ფინალი / მატჩები

სევილია 1:0 ვესტ ჰემი

გოლი: ელ ჰადადი 60
სევილია: ბონო, ნავასი, გუდელი, კუნდე, აკუნია, ტორესი, ხორდანი, კორონა (87. აუგუსტინსონი), ელ ჰადადი (75. მარსიალი), ენ ნესირი (90. მირი), ოკამპოსი
ვესტ ჰემი: არეოლა, კრესუელი, ზუმა, დოუსონი, ჯონსონი, სუჩეკი, რაისი, ლანძინი (83. ნობლე), ვლაშიჩი (67. ბენრაჰმა), ანტონიო, ფორნალსი (90. მასუაკუ)
გაფრთხილება: ზუმა 58, ლანძინი 76, რაისი 90, ოკამპოსი 90

კუთხური:6/3 ; ჯარიმა:3/7

აბალანგა 3:2 ლევერკუზენი

გოლი: არანგისი 11 (0:1), მალინოვსკი 23 (1:1), მურიელი 25, 49 (2:1, 3:1), დიაბი 63 (3:2)
ატლანტა: მუსო, ტოლოი, დემირალი, ჯიმსიტი (69. პალომინო), ძაპაკოსტა (77. მაელე), ფროილერი, დე რუნი, ჰატებოერი, კოოპმაინერსი, მურიელი (77. მირანჩუკი), მალინოვსკი (69. ბოგა)
ლევერკუზენი: ჰრადეცკი, ფრიმპონგი (80. ფოსუ მენსა), ტაჰი, ტაპსობა, ბაკერი, პალასიოსი, არანგისი, დიაბი, ვირცი (85. აზმუნი), ადლი (80. პაულინიო), ალარიო (61. კოსუნუ)
გაფრთხილება: ტოლოი 64, ბაკარი 73, ვირცი 78

კუთხური:8/1 ; ჯარიმა:7/15

ბარსელონა 0:0 გალათასარაი

ბარსელონა: ტერ შტეგენი, დესტი, არაუხო (46. პიკე), გარსია, ალბა, პედრი, ფრენკი დე იონგი, ნიკო (46. ბუსკეტსი), ტრაორე (80. ლუკ დე იონგი), დეპაი (61. ობამეიანგი), ტორესი (46. დემბელე)
გალათასარაი: პენია, ბოეი, ნელსონი, მარკაო, ვან ანჰოლტი, ანდალიალი, კუტლუ, ბაბელი (68. კილინჩი), ფეგული (79. ჩიკალდაუ), აკთურქოღლუ (90+2. ილმაზი), მოსტაფა მოჰამედი (68. გომისი)
გაფრთხილება: კუტლუ 31, დეპაი 35, ანტაიალი 77, ალბა 89

კუთხური:13/1 ; ჯარიმა:8/7

ბრაგა 2:0 მონაკო

გოლი: რუისი 3, ოლივეირა 89

რენჯერსი 3:0 მრ.ზვეზდა

მე-3 და მე-13 წუთზე VAR-მა კუტაის (სრ.ზვეზდა) გოლები არ ჩაუთვალა (თამაშგარე), 24-ე წუთზე კი, მან პენალტი ვერ გაიტანა

გოლი: ტავერნიე 11 პენ. მორელოსი 15, ბალოგუნი 51

ლაიფციგი - საარბრიკი 3.

(ლაიფციგს მოგება ჩაეთვალა)

კონფერენს ლიგა

1/8 ფინალი / მატჩები

პაოკ 1:0 გენგი

გოლი: კურტიჩი 58

პარგიზანი 2:5 ფეიენოორდი

გოლი: ნაჩო 13 (1:0), ტურნსტრა 20 (1:1), იოვიჩი 46 (2:1), დესერსი 52 (2:2), გირტრუიდა 64 (2:3), სინისტერა 71 (2:4), ტურნსტრა 77 (2:5)

სლავია პრ. 4:1 ლასკი

გოლი: სორი 3, 29 (1:0, 2:0), ბალიჩი 67 (2:1), ოლიანკა 83 (3:1), ტრაორე 85 (4:1)

ვიგესი 0:1 რომა

გოლი: ოლივეირა 45+1
რომა: პატრისიუ, იბანიესი, კუმბულა, მანჩინი, მიტლანდ ნაილსი (46. კარსდორპი), ოლივეირა, ვერეტო (46. ელ შაარავი), ვინა (46. კრისტანტე), მხითარიანი (88. მხითარიანი), ძანიოლო (66. პელეგრინი), აბრაჰამი
გაძევება: ოლივეირა 78

ბოდიო 2:1 ალქმაარი

გოლი: პელეგრინი 39 (1:0), აკუხლალი 73 (1:1), სოლბაკენი 90+1

ლესტერი 2:0 რენი

გოლი: ოლბრაიტონი 30, იეანაჩო 90+3
ლესტერი: შმეიხელი, ჯასტინი (62. ჩუჯური), ამარტეი, სუნჩუ, ტომასი, დიუსბერი ჰოლი (80. მედისონი), ნდიდი, ტილემანსი, ოლბრაიტონი, დაკა (62. იეანაჩო), ბარნსი (80. ლუკმანი)

მარსელი 2:1 ბაზელი

გოლი: მილიკი 19 პენ. 68 (1:0, 2:0), ესპოზიტო 79 (2:1)

პსვ 4:4 კოპენჰაგენი

62-ე წუთზე გაკეთომ (პსვ) პენალტი ვერ გაიტანა

გოლი: იოჰანესონი 6 (0:1), გაკპო 21 (1:1), ბიელი 23 (1:2), ლერაგერი 43 (1:3), დოანი 50 (2:3), გაკპო 70 (3:3), ბიელი 78 (3:4), ზაჰავი 85 (4:4)

ინგლისი

პრემიერლიგა

ნორვიჩი 1:3 ჩელსი

გოლი: ჩალობა 3 (0:1), მაუნტი 14 (0:2), პუკი 69 პენ. (1:2), ჰავერცი 90 (1:3)
ნორვიჩი: კრული, აარონსი, ზიმერმანი (46. რუპი), ჰენლი, კაბაკი, უილიამსი, ლეს მელოუ, ნორმანი (46. რაშიკა), მაკლინი, სერგენტი (83. როუ), პუკი
ჩელსი: მენდი, ჩალობა, ტიაგო სილვა, კრისტენსენი, საულ ნიგესი, ჟორჟინიო, კოვაჩიჩი (86. კანტე), ასპილიკუეტა (46. ლოფტუს ჩიკი), მაუნტი, ვერნერი (86. ლუკაკუ), ჰავერცი
გაფრთხილება: მენდი 68, ჩალობა 80

კუთხური:3/8 ; ჯარიმა:8/15

საუთჰემპტონი 1:2 ნიუკასლი

გოლი: არმსტრონგი 25 (1:0), ვუდი 32 (1:1), გიმარაეში 52 (1:2)
საუთჰემპტონი: ფორსტერი, ლივრამენტო, ბედნარეკი, სალისუ, უოლკერ პიტერსი, ელიონუსი (86. ჯენეპო), რომეუ (79. ლონგი), უორდ პრაუზი, არმსტრონგი, ბროხა (73. არმსტრონგი), ადამსი
ნიუკასლი: დუბრავკა, ტარგეტი, ბერნი, შარი, კრაფტი (90. მანკილო), შელვი, უილოკი, გიმარაეში (66. ლონგსტაფი), ფრეიზერი (86. ალმირონი), ვუდი, მერფი
გაფრთხილება: მერფი 16, ბედნარეკი 72

კუთხური:12/5 ; ჯარიმა:5/7

ვულვზი 4:0 უოგფორდი

გოლი: ხიმენესი 13, კუჩო 18 ს.კ. პოდენსე 21, ნევეში 85
ვულვზი: ხოსე სა, ბოლი, კოუდი, საისი, აიტ ნური, მაუტინიო, ნევეში, ხონი (82. ჩიკინიო), პოდენსე, ჰვანგი (61. ნეტუ), ხიმენესი (71. სილვა)
უოტფორდი: ფოსტერი, კიკო (30. კაბასელე), კაჩკარტი, სამირი, კამარა, სისოკო, ლუზა, კლეივერლი (73. ეტებო), კინგი (46. კალუ), დენისი, კუჩო
გაფრთხილება: ლუზა 19, აიტ ნური 35, სამირი 40, საისი 59

კუთხური:5/2 ; ჯარიმა:11/10

ლიდსი 0:3 ასტონ ვილა

გოლი: კოუტინიო 22, კეში 66, ჩემბერსი 73
ლიდსი: მესლერი, ფირპო, შტრუიკი, აილინგი, დალასი, ფორშოუ (68. კლიჩი), კოხი, ჰარისონი (58. ბამფორდი), როდრიგო (46. გელჰარტი), რაფინია, ჯეიმსი
ასტონ ვილა: მარტინესი, კეში, ჩემბერსი, მინგსი, დინიე, რემზი, ლუისი (87. იანგი), მაკგინი, კოუტინიო (77. ბუენდია), უოტკინსი, ინგსი (71. სანსონი)
გაფრთხილება: უოტკინსი 17, კოხი 45+1, მინგსი 47, მაკგილი 62, გელჰარდტი 68, ფირპო 81, ჯეიმსი 86, რაფინია 90

კუთხური:3/5 ; ჯარიმა:17/11

„ატალანტამ" „ლევერკუზენს" დრამატულ მატჩში სძლია

სატურნირო მდგომარეობა:

სიტი	28	22	3	3	68:18	69
ლივერპული	27	19	6	2	71:20	63
ჩელსი	27	16	8	3	56:19	56
არსენალი	25	15	3	7	41:29	48
მანჩესტერი	28	13	8	7	45:38	47
ვესტ ჰემი	28	13	6	9	46:35	45
ტოტენჰემი	26	14	3	9	40:32	45
ვულვზი	28	13	4	11	28:23	43
ასტონ ვილა	27	11	3	13	40:37	36
საუთჰემპტ.	28	8	11	9	35:43	35
კრ.პალასი	28	7	12	9	39:38	33
ლესტერი	25	9	6	10	40:43	33
ბრაიტონი	27	7	12	8	26:32	33
ნიუკასლი	27	7	10	10	32:47	31
ბრენტფორდი	28	7	6	15	30:45	27
ლიდსი	28	5	8	15	29:64	23
ევერტონი	25	6	4	15	28:46	22
ბარნლი	26	3	12	11	22:36	21
უოტფორდი	28	5	4	19	27:54	19
ნორვიჩი	28	4	5	19	17:61	17

ბომბარდირები: სალაჰი (ლივერპული)-19; ჟოტა (ლივერპული)-12; მანე (ლივერპული)-12; სონი (ტოტენჰემი)-11; სტერლინგი (სიტი)-10; ვარდი (ლესტერი)-10; მაჰრეზი (სიტი)-10; კეინი (ტოტენჰემი)-10.

სლოვენია

პრვალიგა

ალუმინი-მარიბორი	3:3(1:2)
მურა-ოლ.ლუბლიანა	3:2(2:2)

ესტონეთი

თასი

კალუჟუ-ტაბასალუ	7:0(4:0)

თურქეთი

I ლიგა

ეუპსფორი-ბურსასფორი	3:0(2:0)

ისლანდია

ლიგის თასი

ფილკირი-ჰაფნარი	0:3(0:1)
სტარნანი-ბრეიდაბლიკი	4:1(3:0)

სომხეთი

პრემიერლიგა

ნოა-პიუნიკი	0:1(0:1)
ნორავანკი-არარატი არმ.	0:2(0:2)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზახეთი

პრემიერლიგა

ტარაზი-ორდაბასი	1:0(1:0)
აკსუ-ასტანა	1:0(0:0)
კიზილზარი-შახტიორი	კარ. 0:1(0:0)

არგენტინა

თასი

რივერ პლეიტი-ლაფერერე	5:0(3:0)

კოლუმბია

აპერტურა

პერეირა-ონსე კალდასი	0:1(0:0)

კალათბურთი

NBA

შარლოტი-ბოსტონი	101:115
დეტროიტი-ჩიკაგო	108:114
მაიამი-ფინიქსი	90:111
ჰიუსტონი-ლეიკერსი	139:130დდ
მილუოკი-ატლანტა	124:115
(სანდრო მამუკელაშვილს არ უთამაშია)	
მინესოტა-ოკლაჰომა	132:102
ნიუ ორლეანი-ორლანდო	102:108
დალასი-ნიუ იორკი	77:107
სან ანტონიო-ტორონტო	104:119
საკრამენტო-დენვერი	100:106
იუტა-პორტლენდი	123:85
კლიპერსი-ვაშინგტონი	115:109

ევროლიგა

ცრ.ზვეზდა-მაკაბი თ.ვ.	84:77
ალბა-ოლიმპიაკოსი	90:75
ლიონი-ბასკონია	69:72
რეალი-მილანო	92:88დ.დ.

სატურნირო მდგომარეობა:

ბარსელონა	22	18	4	1780:1617
რეალი	23	17	6	1773:1669
მილანო	23	16	7	1700:1611
ოლიმპიაკოსი	23	15	8	1798:1661
ეფესი	21	12	9	1734:1629
ბაიერნი	22	12	10	1648:1634
მაკაბი	22	11	11	1744:1765
მონაკო	23	10	13	1876:1868
ცრ.ზვეზდა	23	11	12	1663:1678
ფენერბაჰჩე	22	9	13	1649:1645
ალბა	21	9	12	1596:1676
ბასკონია	24	9	15	1790:1899
ლიონი	23	7	16	1673:1832
ჟალგირისი	22	6	16	1614:1740
პანათინაიკოსი	22	6	16	1614:1740
ზენიტი	0	0	0	0:0
ცსკა	0	0	0	0:0
უნიკსი	0	0	0	0:0

ევროთასი

ცედევიტა-პრომეტეასი	98:84

ჩემპიონთა ლიგა

გალათასარაი-ჰაპოელი ჰო.	74:71
მანრესა-ტრევიზო	108:88

პოკერი

NHL

ედმონტონი-ვაშინგტონი	4:3დდ
ვანკუვერი-მონრეალი	5:3

ფინეთი

ტაპარა-ლუკო	4:2

შვედეთი

ფრიოლუნდა-ვაქსიო	5:4დ.დ.
ლეკსანდსი-იურგორდენი	2:4
ლულეო-ფარიესტადი	4:1
მალმიო-ლინჩოპინგი	7:0
როგლე-ბრინასი	3:0
ტიმრა-ორებრო	3:1

რაგბი

6-ერი U-20

უელსი-საფრანგეთი	15:47

წყალბურთი

მსოფლიო ლიგის კვალიფიკაცია

კანადა-არგენტინა	17:16პ.
ბრაზილია-ავსტრალია	9:10
არგენტინა-აშშ	7:13

ჩოგბურთი

ATP-Indian Wells (USA), hard

ბონზი-რინდერკნეხი	6:3, 7:5
ფონინი-ანდუხარ ალბა	3:6, 6:3, 6:3
კრაინოვიჩი-ლაიოვიჩი	7:5, 4:6, 6:1
მაკდონალდი-ფუჩოვიჩი	7:6, 7:5

WTA-SIndian Wells (USA), hard

ტომლიანოვიჩი-ბაპტისტა	6:2; 2:6; 6:2
ქ.ჟენგი-ზვონარევა	6:3; 6:2
ბურელი-კალინინა	3:6; 2:6
ვოლინეცი-რუსი	4:6; 6:4; 6:1
კონუჰი-დარტი	1:6; 1:3
(კონუჰის ტრავმა)	
კოვინიჩი-ტეიხმანი	7:5; 7:5
იასტრემსკა-გარსია	4:6; 7:6; 5:7
ა.ლი-ბრენგლე	1:6; 7:6; 6:0
ტანი-კალინსკაია	2:6; 0:1
(ტანის ტრავმა)	
ჰადად მაია-კენინი	6:3; 7:5
ფრეში-შერიფი	6:2, 7:5
კრუგერი-პუტინცევა	3:6, 2:6
ვან უიტვანკი-გალფი	7:6, 6:4
ვატსონი-მარტინცოვა	2:6, 1:6
ბულტერი-პაოლინი	3:6, 2:6
სავილი-ს.ჟანგი	6:3, 6:2

ტუხელმა შეიძლება ჩელსი დატოვოს

ლონდონის „ჩელსის“ მთავარმა მწვთნელმა ტომას ტუხელმა შესაძლოა, პოსტი დატოვოს მას შემდეგ, რაც ბრიტანეთის ხელისუფლებამ კლუბის მფლობელ რომან აბრამოვიჩის აქტივები გაყინა.

გერმანელი სპეციალისტი თვლის, რომ შექმნილი სიტუაცია მუშაობის ნორმალურ პირობებს ემუქრება და იგი უბრალოდ ვეღარ შეძლებს თავისი საქმის მშვიდად შესრულებას.

_ როგორც ჩანს, ტუხელის „ჩელსიდან“ წასვლა გარდაუვალია. ბუკმეკერები ამაში დარწმუნებულები არიან, _ განაცხადა Ladbrokes-ის ექსპერტმა ალექს აპატიმ.

მესიმ ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფში გოლის გატანა 15 წელიწადში პირველად ვერ შეძლო

არგენტინელი რეალის ყარის ალებას ზედიზედ 9 მატჩია ვერ ახერხებს

ფრანგული პსჟ-ს ფორვარდმა ლიონელ მესიმ წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფში გოლის გატანა ვერ შეძლო.

ბოლოს, არგენტინელს ასეთი რამ 2007 წლის თებერვალში დაემართა, როდესაც „ბარსელონამ“ მერვედფინალში „ლივერპულთან“ წააგო.

გარდა ამისა, მესიმ უარყოფითი სტატისტიკა უშუალოდ „რეალთან“ მატჩებშიც გაზარდა. „ბარსელონას“ ყოფილი ვარსკვლავი „სამეფო კლუბის“ კარში გოლის გატანას უკვე 9 მატჩია ვერ ახერხებს. არადა, მთლიანობაში, მესის „რეალთან“ 47 მატჩში 26 გოლი აქვს გატანილი, რასაც 14 შედეგიანი პასი ემატება.

ტოტენჰემთან მატჩის წინ რონალდუ ინდივიდუალურად ვარჯიშობს

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდი კრისტიანო რონალდუ პრემიერლიგის 29-ე ტურში „ტოტენჰემთან“ ხვალ გასამართი მატჩისთვის ინდივიდუალურად ემზადება. ამის შესახებ კლუბის პრეს-სამსახური იუწყება.

პორტუგალიელი ბარძაყის კუნთთან დაკავშირებულ პრობლემებს უჩივის, თუმცა, თავს უკეთ გრძნობს. შეგახსენებთ, რომ რონალდუმ წინა ტურში „სიტისთან“ დერბი გამოტოვა.

ინგლისი

12 მარტი
ბრაიტონი-ლივერპული(16:30)
ბრენტფორდი-ბარნსლი(19:00)
მანჩესტერი-ტოტენჰემი(21:30)
13 მარტი
ჩელსი-ნიუკასლი(18:00)
ევერტონი-ვულვზი(18:00)
ლიდსი-ნორვიჩი(18:00)
საუთჰემპტონი-უოტფორდი(18:00)
ვესტ ჰემი-ასტონ ვილა(18:00)
არსენალი-ლესტერი(20:30)
14 მარტი
კრ.პალასი-სიტი(23:55)

ესპანეთი

11 მარტი
ატლეტიკო-კადისი(23:55)
12 მარტი
ლევანტე-ესპანიოლი(17:00)
გრანადა-ელჩე(19:15)
ვილიარეალი-სელტა(21:30)
ხეტაფე-ვალენსია(23:55)
13 მარტი
რაიო-სევილია(17:00)
ბეტისი-ბილბაო(19:15)
სოსიედადი-ალავესი(21:30)
ბარსელონა-ოსასუნა(23:55)
14 მარტი
მალიორკა-რეალი(23:55)

იტალია

12 მარტი
სალერნიტანა-სასუოლო(18:00)
სპეცია-კალიარი(18:00)
სამპდორია-იუვენტუსი(21:00)
მილანი-ემპოლი(23:45)
13 მარტი
ფიორენტინა-ბოლონია(15:30)
ვერონა-ნაპოლი(18:00)
ატალანტა-ჯენოა(21:00)
უდინეზე-რომა(21:00)
ტორინო-ინტერი(23:45)
14 მარტი
ლაციო-ვენეცია(23:45)

გერმანია

12 მარტი
აუგსბურგი-მაინცი(18:30)
ფრაიბურგი-ვოლფსბურგი(18:30)
ჰოფენჰაიმი-ბაიერნი(18:30)
უნ.ბერლინი-შტუტგარტი(18:30)
გლადბახი-ჰერტა(21:30)
13 მარტი
ლევერკუზენი-კიოლნი(18:30)
დორტმუნდი-არმინია(20:30)
აინტრახტი-ბოხუმი(20:30)
ფიურტი-ლაიფციგი(22:30)

საფრანგეთი

11 მარტი
ლილი-სტ ეტიენი(23:55)
12 მარტი
მონპელიე-ნიცა(20:00)
ტრუა-ნანტი(23:55)
13 მარტი
პსჟ-ბორდო(16:00)
ანჟე-რეიმსი(18:00)
კლერმონი-ლორიენი(18:00)
მეცი-ლანსი(18:00)
სტრასბურგი-მონაკო(18:00)
ლიონი-რენი(20:05)
ბრესტი-მარსელი(23:45)

ბრიტანეთში აბრამოვიჩს სანქციები დაადეს და იგი ჩელსის გაყიდვას ვეღარ შეძლებს

ჩელსი მატჩების ბილეთებს ვეღარ გაყიდის, კლუბს ტრანსფერები და ფეხბურთელებთან კონტრაქტების გაგრძელება აუკრძალეს

რომან აბრამოვიჩი სანქციებს ვერ გადაურჩა. დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ რუს ოლიგარქს აქტივები გაუყინა, მათ შორისაა ლონდონის „ჩელსი“.

კლუბი საფეხბურთო საქმიანობას სპეციალური ლიცენზიის მიღებით განაგრძობს. „არისტოკრატები“ ყველა საფეხბურთო ტურნირში შეძლებენ გამოსვლას, მაგრამ სანქციები ფაქტობრივად კლუბის გაყიდვას კრძალავს.

შეგახსენებთ, რომ 26 თებერვალს აბრამოვიჩმა „ჩელსის“ გაყიდვის გადაწყვეტილების შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა. რუს ბიზნესმენს კლუბის გაყიდვა 4 მილიარდ ფუნტად სურდა.

აბრამოვიჩის დასანქცირების გამო, „ჩელსი“ მატჩებზე ბილეთების გაყიდვას ვეღარ შეძლებს. დიდი ალბათობით, მატჩებზე დასწრებას მხოლოდ სეზონური აბონემენტების მფლობელები შეძლებენ. ასევე, შექმნილი სიტუაციის ფონზე, ლონდონური გუნდის ფან-შოპი დაიხურა.

ბრიტანული მედია იუწყება, რომ „ჩელსი“ საშინაო მატჩების ორგანიზებაზე მხოლოდ 500 ათასი ფუნტის დახარჯვას შეძლებს. ამ თანხაში უსაფრთხოების ორგანიზება, სტიუარდების ხელფასები და კვება შედის. გასვლით მატჩებზე გამგზავრებასა და შინ დაბრუნებაზე „ჩელსი“ მხოლოდ 20 ათას ფუნტს დახარჯავს.

„თაიმსის“ ჟურნალისტი მარტინ ციგლერი წერს, რომ აბრამოვიჩის წინააღმდეგ ამოქმედებული სანქციები „ჩელსის“ სატრანსფერო ბაზარზე მუშაობასაც შეუზღუდავს. კლუბს აკრძალული აქვს ფეხბურთელების ტრანსფერების განხორციელება და მათთან კონტრაქტების გაგრძელება. ამავე დროს, კლუბს შეუძლია უხადოს ხელფასები ფეხბურთელებს, მწვრთნელებს და თანამშრომლებს.

მომავალ ზაფხულს „ჩელსისთან“ მოქმედი კონტრაქტები სესარ ასპილიკუეტას, ანტონიო რუდიგერს და ანდრეას კრისტენსენს უმთავრდებათ. 2023 წლამდე კონტრაქტები აკავშირებთ ლონდონელებთან მარკოს ალონსოს, ტიაგო სილვას, ჟორჟინიოს, როს ბარკლისა და ნგოლო კანტეს.

ბრიტანეთის ხელისუფლებას არ სურს, რომ აბრამოვიჩმა „ჩელსის“ გაყიდვისთვის ფული მიიღოს. მიმდინარეობს ისეთი ვარიანტის შემუშავება, რომლის მიხედვითაც, „ჩელსი“ გაიყიდება, მაგრამ აბრამოვიჩი სარგებლის გარეშე დარჩება. ეს ვარიანტი „ჩელსის“ მომავალს საფრთხეს აარიდებს და რელსებზე დააბრუნებს. ერთი სიტყვით, კლუბი ძალზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

Marca: ნეიმარი და დონარუმა რეალთან მატჩის შემდეგ გასასდელში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

ბრაზილიელი ამ ინფორმაციას უარყოფს

როგორც ესპანური „მარკა“ წერს, ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მერვედფინალურ მატჩში „რეალთან“ 1:3 მარცხის შემდეგ, პსჟ-ს რიგებში სიტუაცია დაიძაბა. პარიზელთა გასახდელში გუნდის ბრაზილიელ ფორვარდ ნეიმარსა და მეკარე ჯანლუიჯი დონარუმას შორის კონფლიქტი მოხდა.

ცნობის თანახმად, ნეიმარი და დონარუმა შეკამათდნენ, შემდეგ კი, საქმე კინაღამ ჩხუბში გადაიზარდა. თავიდან, ბრაზილიელმა მეკარეს პირველი გაშვებული გოლის ეპიზოდში დაშვებული შეცდომა უხსენა, იტალიელმა კი, „რეალის“ მეორე გოლის დროს ცუდი თამაში დააბრალა. დონარუმა და ნეიმარი თანაგუნდელებმა გააშველეს.

მოგვიანებით, ნეიმარი ზემოხსენებულ ინფორმაციას გამოეხმაურა და დონარუმასთან დაპირისპირება უარყო. მან „ინსტაგრამზე“ გამოაქვეყნა ინფორმაციის „სკრინ-შოტი“, რომელსაც დონარუმასთან მიმოწერა მიამაგრა:

თავიდან, დონარუმამ გაუგზავნა ნეიმარს კონფლიქტის შესახებ დილის ინფორმაცია და დაწერა: „გამარჯობა, ნეი. მაპატიე გუშინდელის გამო. ეს ახალი ამბები მიუღებელია“.

ნეიმარმა უპასუხა: „დამშვიდდი, ასეთი რამ ხდება ფეხბურთში. ჩვენ გუნდი ვართ, შენ გვერდით ვართ. შენ ძალზე ახალგაზრდა ხარ და ბევრ ტიტულს მოიგებ. თავი მაღლა ასწიე და მოდი, წინსვლა გავაგრძელოთ“.

შემდეგ, ბრაზილიელმა კიდევ ერთი პოსტი გამოაქვეყნა, რომელშიც წერს:

„ვერ ვიტან ახალ ამბებზე საუბარს, მაგრამ ის ყველაფერი, რაც ჩვენ შესახებ დაწერეს, ტყუილია. გასახდელში ჩხუბი არ ყოფილა!!! მინდა მივმართო იმ არაკომპეტენტურ ჟურნალისტებს, რომლებსაც სურთ სახელი გაითქვან, კიდევ ერთხელ სცადეთ, კარგი?“

მბაპემ ტრეზეგეს გადაასწრო და ჩემპიონთა ლიგაზე ფრანგ ბომბარდირებს შორის მე-3 ადგილზე გადავიდა

ჟილიანმა იბრაჰიმოვიჩი ჩამოიტოვა და პსჟ-ს ისტორიაში მეორე ბომბარდირი გახდა

მადრიდის „რეალთან“ ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მერვედფინალურ მატჩში გატანილი გოლის შედეგად, პსჟ-ს ფორვარდმა კილიან მბაპემ ტურინის „იუვენტუსის“ ყოფილ შემტევ დავიდ ტრეზეგეს გადაასწრო და ტურნირის ისტორიაში საუკეთესო ფრანგ მეგოლეებს შორის მესამე ადგილზე გადავიდა.

ეს გოლი 23 წლის ფეხბურთელისთვის მთავარ ევროთასზე 33-ე აღმოჩნდა. ფრანგებს შორის მბაპეზე მეტი გოლი ახლა მხოლოდ ტიერი ანრის (51) და ქარიმ ბენზემას (79) აქვთ გატანილი.

გარდა ამისა, მბაპემ პსჟ-ს ყოფილი ფორვარდი ზლატან იბრაჰიმოვიჩი ჩამოიტოვა და კლუბის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირთა შორის მეორე ადგილზე გადავიდა.

მას ყველა ტურნირზე პსჟ-ს მაისურით 157 გატანილი გოლი დაუგროვდა. ზლატანის აქტივში 156 გოლია. კილიანი მხოლოდ ედინსონ კავანის (200) ჩამორჩება.

ბორჯღალოსნებს რუსეთთან მოგება ოფიციალურად ჩაეთვალათ და მსოფლიოს თასზე მეექვსედ გავიდნენ

მაისაშვილმა რუმინეთთან მატჩისთვის საბოლოო შემადგენლობა დაასახელა

საქართველო გახდა მეთხუთმეტე ქვეყანა, რომელმაც 2023 წლის საფრანგეთის მსოფლიოს თასის საგზური ოფიციალურად მოიპოვა.

მსოფლიო რაგბიმ რუსეთისა და ბელორუსის რაგბის კავშირების საკუთარი რიგებიდან გარიცხვის შემდეგ, მსოფლიოს თასის ევროპის შესარჩევი ზონის მდგომარეობა განიხილა. რუსეთს 2021 და 2022 წლებში დაფიქსირებული შედეგები შეუნარჩუნდა, საქართველოსთან, პორტუგალიასთან და ნიდერლანდებთან გასამართ მატჩებში კი, წაგებები ჩაეთვალა. შედეგად, სამივე გუნდმა 4-4 საცხრილო ქულა მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ ბორჯღალოსნებს 35 ქულა მოუგროვდათ და ევროპის ორ მოწინავე გუნდს შორის ადგილი დაიმკვიდრეს.

გასარკვევი ისღა დარჩა, საქართველო საფრანგეთში ევროპა1-ის სახელით გაემგზავრება თუ ევროპა2-ის. თეორიულად, ესპანეთს, რომელსაც 25 ქულა აქვს, პირველი ადგილის დაკავების შანსი ჯერ კიდევ რჩება. რუმინეთთან და ესპანეთთან ერთი ქულის აღების შემთხვევაში, ბორჯღალოსნები პირველ ადგილს საბოლოოდ გაიფორმებენ და საფრანგეთში G ჯგუფში, უელსის, ავსტრალიის, ფიჯისა და საკონტინენტთაშორისო ფლეი-ოფის გამარჯვებულთან ერთად მოხვდებიან.

ევროპის შესარჩევი ზონიდან მსოფლიო თასზე მოხვედრის შანსს ინარჩუნებენ ესპანეთი, პორტუგალია და რუმინეთი. მათგან უკეთესი საფრანგეთის საგზურს მიიღებს, მესამეადგილოსანი კი ფლეი-ოფში გადაინაცვლებს.

2003 წლის შემდეგ, საქართველო მსოფლიო თასზე ზედიზედ მეექვსედ ითამაშებს!

რუმინეთთან ბუქარესტში, 12 მარტს გასამართი მატჩისთვის კი, ბორჯღალოსნებს რამდენიმე ტრავმირებული მოთამაშე უბრუნდება. დავით ნინიაშვილი, გიორგი კვესელაძე, სანდრო თოდუა, კოტე მიქაუტაძე და ბექა საღინაძე, ბორჯღალოსნების კვართით 2022 წელს პირველად ითამაშებენ. სასტარტო შემადგენლობაში ერთი დებიუტანტია - მესამე ხაზში თამაშს ლუკა ივანიშვილი იწყებს. მარქაფაშია კვაჭი ჯაბა ბრეგვაძე, რომელმაც ნაკრების კვართი ბოლოს შარშან ზაფხულში, სამხრეთ აფრიკასთან მოირგო.

_ ვიცით, რომ მარტივი გასეირნება არ გველოდება და ბრძოლისთვის ვართ განწყობილი. როგორც რუმინეთს, ასევე ესპანეთს, მსოფლიო თასზე გასვლის კარგი შანსი აქვთ და დიდი მონდომებით ითამაშებენ. მათ შეძლეს ოპტიმალური შემადგენლობის შეკრება და კარგ ფორმაში არიან, თუმცა ჩვენთვის ეს საიუბილეო შეხვედრაა, რაგბი ევროპის ჩემპიონატი მოსაგები გვაქვს და მაქსიმუმს გავიღებთ, რათა სასურველი შედეგი დავდოთ, განაცხადა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ლევან მაისაშვილმა**, რომელმაც საბოლოო შემადგენლობა დაასახელა:

ხაზი: დავით ნინიაშვილი, აკა ტაბუცაძე, გიორგი კვესელაძე, მერაბ შარიქაძე, სანდრო თოდუა, თედო აბჟანდაძე, ვასილ ლობჟანიძე, მიხეილ ნარიაშვილი, შალვა მამუკაშვილი, ბექა გიგაშვილი, ლაშა ჯაიანი, კოტე მიქაუტაძე, ლუკა ივანიშვილი, ბექა საღინაძე, თორნიკე ჯალაღონია

მარქაფა: ჯაბა ბრეგვაძე, გურამ გოგიჩაშვილი, ნიკოლოზ ხატიაშვილი, გრიგორ ქერდიყოშვილი, სანდრო მამამთავრიშვილი, გელა აფრასიძე, ლაშა ხმალაძე, დემე თაფლაძე. *www.rugby.ge-ს მიხედვით.*

ჯოკოვიჩმა აშშ-ში ჩასვლა ვერ შეძლო და ინდიან უელსისა და მაიამის მასტერსებს გამოტოვებს

სპონსორთან კონტრაქტის გაწყვეტის შემთხვევაში სერბი 30 მილიონ დოლარს დაკარგავს

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა გამოაცხადა, რომ ინდიან უელსისა და მაიამის მასტერსებს გამოტოვებს. სერბი, რომელიც ვაქცინაციაზე უარს ამბობს, აშშ-ს ტერიტორიაზე არ დაიშვება.

_ მართალია, ავტომატურად ჩამრთეს ინდიან უელსისა და მაიამის ტურნირებზე, მაგრამ ვიცოდი, რომ იქ გამოსვლა შეუძლებელი იყო. დამიდასტურეს, რომ წესები აშშ-ში არ შეცვლილა და ამიტომაც იქ ვერ ჩავდივარ. წარმატებები მათ, რომლებიც ამ მშვენიერ ტურნირებზე ითამაშებენ, _ დაწერა ჯოკოვიჩმა „ტვიტერზე“.

შეგახსენებთ, რომ ნოვაკმა იგივე მიზეზით ავსტრალიის ღია პირველობაზე ვერ ითამაშა, თუმცა, იქ ამ ყველაფერმა გრანდიოზული და გაწელილი სკანდალის ფონზე ჩაიარა.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ფრანგულმა კომპანია Lacoste-მ ავსტრალიური სკანდალის გამო, შესაძლოა, ჯოკოვიჩთან კონტრაქტი გაწყვიტოს. იმ შემთხვევაში, თუ ასეც მოხდება, „დიდი მუზარადის“ ტურნირების 20-გზის გამარჯვებული ჩოგბურთელი დაახლოებით 30 მილიონ დოლარს დაკარგავს. ამის შესახებ ბრიტანული „დეილი მეილი“ იუწყება.

მხარეებს შორის ამ საკითხზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს და კომპანიამ ღიად დაუფიქსირა სერბის წარმომადგენლებს საკუთარი პოზიცია. გამომდინარე იქიდან, რომ ჯოკოვიჩი პოზიციას არ თმობს და ჯერჯერობით არ ჩანს მისი სურვილი, რომ აიცრას, მას, როგორც სპორტულ, ისე ფინანსურ დონეზე მომავალში გაცილებით სერიოზული ზარალი ელის.

ლებრონის სამმაგმა დუბლმა ლეიკერსი ლიგის აუტსაიდერ ჰიუსტონთან მარცხისგან ვერ იხსნა

NBA-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ სტუმრად „ჰიუსტონ როკეტსთან“ ოვერტაიმში 130:139 დამარცხდა.

მასპინძელთა გამარჯვებაში დიდი წვლილი ჯეილენ გრინმა 32 ქულით შეიტანა. „ლეიკერსში“ 27 ქულა რასელ ვესტბრუკმა ჩააგდო, გუნდის ლიდერმა ლებრონ ჯეიმსმა კი, სამმაგი დუბლი შეასრულა - 20 ქულა, 14 მოხსნა, 11 პასი.

ამრიგად, „ლეიკერსი“ არასტაბილურ თამაშს განაგრძობს. ლებრონის გუნდი 65 მატჩის შემდეგ, 28 მოგებით და 37 მარცხით დასავლეთ კონფერენციის ცხრილში მე-9 ადგილზე იმყოფება. ლოსანჯელესელები მომდევნო მატჩს ხვალ, საკუთარ მოედანზე „ვაშინგტონ ვიზარდსთან“ გამართავენ.

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები ფიბა-ს რეიტინგში 2 საფეხურით დაწინაურდა

მსოფლიოს 2023 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ფანჯრის თამაშების შემდეგ, ფიბა-ს სანაკრებო რეიტინგი განახლდა, რომელშიც წარმატებული ასპარეზობის გათვალისწინებით, საქართველოს ნაკრები 2 საფეხურით დაწინაურდა.

შეგახსენებთ, რომ ილიას ზუროსის გაწვრთნილმა საქართველომ თებერვლის მიწურულს 2-ჯერ მოუგო ჩრდილოთ მაკედონიის ნაკრებს და მსოფლიოს პირველობის მე-2 ჯგუფური რაუნდის საგზური ოფიციალურად მოიპოვა. საქართველომ თბილისში 91:70 იმარჯვა, სკოპიეში კი - 79:65.

შედეგად, ქართველ კალათბურთელებს 16.8 ქულა დაემატათ, რეიტინგში 2 ადგილით დაწინაურდნენ (საუკეთესო შედეგი მოწინავე ორმოცეულში) და 301.5 ქულით მსოფლიოში 36-ე ადგილზე იმყოფებიან, კონკრეტულად ევროპაში კი, მე-18 ადგილზე დამკვიდრდნენ.

მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქეთაგან საუკეთესო შედეგი ესპანეთს აქვს, რომელიც კლასიფიკაციაში მხოლოდ აშშ-ს ჩამორჩება, უკრაინა 32-ეა, ხოლო ჩრდილოეთ მაკედონია - 53-ე.

შეგახსენებთ, რომ ზუროსის გუნდს მიმდინარე ტურნირში მხოლოდ 2 მატჩი დარჩა ჩასატარებელი: 1 ივლისს - უკრაინაში და 4 ივლისს - თბილისში, ესპანეთთან. სწორედ ამის მერე გაირკვევა, ქართველ კალათბურთელებს მე-2 ჯგუფურ ეტაპზე რამდენი გამარჯვება გადაჰყვებათ.

www.gbf.ge-ს მიხედვით.

1.(1) აშშ	763ქ.	14.(15) ბრაზილია	553	28.(28) ტუნისი	377	41.(40) კოტ დივუარი	266
2.(2) **ესპანეთი**	724	15.(14) რუსეთი	551	29.(29) ჩინეთი	359	42.(42) ისრაელი	262
3.(3) ავსტრალია	691	16.(16) თურქეთი	504	30(30) ს. კორეა	342	43.(43) უნგრეთი	261
4.(5) საფრანგეთი	673	18.(18) კანადა	501	31.(31) ანგოლა	334	44.(46) ისლანდია	251
5.(4) სლოვენია	671	19.(19) პუერტო რიკო	476	32.(32) **უკრაინა**	331	45.(44) ბრიტანეთი	248
6.(6) სერბეთი	664	20.(20) დომინიკის რ.	474	33.(34) სენეგალი	327	46.(45) ბოსნია	247
7.(7) არგენტინა	654	21.(21) ხორვატია	469	34.(33) ფილიპინები	326	47.(47) ნიდერლანდები	230
8.(8) ლიეტუვა	651	22.(22) ნიგერია	458	35.(35) ფინეთი	314	48.(49) ესტონეთი	219
9.(10) საბერძნეთი	650	23.(23) ირანი	448	36.(38) **საქართველო**	301	49.(50) პანამა	218
10.(9) იტალია	645	24.(24) მექსიკა	402	37.(36) ბელგია	296	50.(51) შვედეთი	214
11.(11) გერმანია	603	25.(25) ჩერნოგორია	399	38.(37) იაპონია	286		
12.(12) ჩეხეთი	577	26.(26) ლატვია	391	39.(39) იორდანია	283		
13.(13) პოლონეთი	560	27.(27) ახ. ზელანდია	383	40.(41) ურუგვაი	267	53.(52) **ჩრ. მაკედონია**	201

რიო ფერდინანდი: 3 ფეხბურთელის გიგანტური თავმოყვარეობა პსჟ-ს ხელს უშლის

„მანჩესტერის“ ყოფილი მცველი რიო ფერდინანდი მიიჩნევს, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „რეალთან“ განცდილ კრახში პსჟ-ს მთავარ მწვრთნელ მაურისიო პოჩეტინოს დადანაშაულება არ ღირს.

— არ შეიძლება მივუთითოთ პოჩეტინოზე. პსჟ-ს მხრებზე 3 ისეთი ფეხბურთელი აჰკიდეს, რომელთა გიგანტური თავმოყვარეობა გუნდს ჩემპიონთა ლიგაზე წარმატების მოპოვებაში უშლის ხელს. სწორედ ისინი უნდა დავადანაშაულოთ და არა მწვრთნელები. პსჟ-ს ისტორიის გათვალისწინებით, არ ვფიქრობ, რომ მწვრთნელის მისამართით კრიტიკა სამართლიანია, — განაცხადა ფერდინანდმა.

მილანმა უკრაინის დასახმარებლად მასშტაბური კამპანია ნამოიწყო, რომელსაც შევჩენკო შეუერთდა

იტალიური „მილანი“ უკრაინაში მიმდინარე ომისგან განზე გადგომას არ აპირებს. კლუბმა რუსი ოკუპანტებისგან დაზარალებულთა დასახმარებლად მასშტაბური კამპანია წამოიწყო

„როსონერიმ“ სპეციალური არხი შექმნა იტალიური წითელი ჯვრისთვის და შემოსული თანხები უკრაინის დასახმარებლად გადაიგზავნება. ამის შესახებ კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება.

„მილანმა“ თავის ლეგენდა ანდრეი შევჩენკოსთან ერთად ფორმის უნიკალური ვარიანტი შეიმუშავა, რომლის შეძენაც ოფიციალურ ონლაინ მაღაზიაში დღეიდან იქნება შესაძლებელი 50 ევროდ.

გარდა ამისა, „როსონერი“ აუქციონზე გაყიდიან ფეხბურთელთა მაისურებს. კლუბი ლტოლვილ ბავშვებსაც შეიფარებს, რომლებსაც დროებით, ბაზაზე განათავსებს.

დიმიტარ ბერბატოვი: მაგუაირს კაპიტნობა და გუნდის გაძღოლა არ შეუძლია

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი ფორვარდი დიმიტარ ბერბატოვი მიიჩნევს, რომ გუნდს კაპიტნის შეცვლა სჭირდება. მისი აზრით, მცველი ჰარი მაგუაირი დაკისრებულ მოვალეობას ვერ უმკლავდება.

— „იუნაიტედში“ ჭეშმარიტ ლიდერებთან ერთად ვთამაშობდი, როგორებიც ვიდიჩი და რუნი იყვნენ. როდესაც გუნდის საქმეები ცუდად მიდის, ყველა კაპიტნისკენ იშვერს თითს...

— მაგუაირმა იცის, რომ უკეთ თამაში შეუძლია. მისი შეცდომები გუნდის გაძღოლაში უშლის ხელს. იოლი არაა წნეხის ქვეშ ყოფნა, მაგრამ ეს გამომივლია. ამაშია ტოპ-კლუბებში თამაშის არსი. ეს პროფესიის ნაწილია და უნდა გაუმკლავდე. საქმეში რანგნიკი უნდა ჩაერიოს, მაგუაირი დაასვენოს და შანსი სხვას მისცეს, — ამბობს ბერბატოვი.

მანჩესტერი ლევანდოვსკის შეძენას გეგმავს, რომელიც გაკვირვებულია იმით, რომ ბაიერნი ახალ კონტრაქტზე არ ესაუბრება

შტეფან ეფენბერგი: ბაიერნი ისტორიაში უდიდეს შეცდომას დაუშვებს, თუ ლევანდოვსკისთან კონტრაქტის გაგრძელებას არ შეეცდება

გერმანული გამოცემა „ბილდის“ ინფორმაციით, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი სამიზნე მომავალ ზაფხულს მიუნხენის „ბაიერნის“ ფორვარდი რობერტ ლევანდოვსკი იქნება.

„წითელმა ეშმაკებმა“ იციან, რომ პოლონელმა ფეხბურთელმა შეიძლება კლუბი დატოვოს და მზად არიან, მას საუკეთესო პირობები შესთავაზონ.

ლევანდოვსკის „ბაიერნთან“ მოქმედი კონტრაქტი 2023 წლის ზაფხულში უმთავრდება, მაგრამ კლუბს მისთვის ახალი ხელშეკრულება ჯერაც არ შეუთავაზებია. რობერტი გაოცებულია იმით, რომ ხელმძღვანელობიდან ჯერაც არავინ დაკავშირებია და სიტუაციაში გარკვევა უახლოეს ხანში სურს. მისი გარემოცვის აზრით, საქმე ისაა, რომ „ბაიერნს“ „დორტმუნდის“ ფორვარდი ერლინგ ჰოლანდი სურს რობერტის შემცვლელად და მომდევნო სეზონში პოლონელი მხოლოდ „მეორე ვიოლინოს“ ფუნქციას შეასრულებს.

„ბაიერნის“ ლეგენდა შტეფან ეფენბერგი თვლის, რომ კლუბმა ლევანდოვსკისთან მოქმედი კონტრაქტის გასაგრძელებლად ყველაფერი უნდა გააკეთოს.

— სახიფათო სიტუაციაა. თუ „ბაიერნი“ ერლინგ ჰოლანდის შეძენას აპირებს და მას გეგმა A-დ განიხილავს, ხოლო ლევანდოვსკის გეგმა B-დ, რობერტი ამას არასოდეს დაივიწყებს. მე ჯერაც ვვარაუდობ, რომ „ბაიერნსა“ და ლევანდოვსკის შორის მოლაპარაკებები უახლოეს ხანში დაიწყება. თუმცა, ამავე დროს უნდა გვესმოდეს, რომ რობერტი თუ კლუბიდან წავა, ეს პასუხისმგებელ პირებზე კარგად ვერ აისახება...

— მეტსაც ვიტყვი. თუ „ბაიერნი“ არ შეეცდება მასთან კონტრაქტის გაგრძელებას,

ეს კლუბის ისტორიაში ყველაზე ცუდი გადაწყვეტილება იქნება. ამას ვერავინ გაიგებს. „ბაიერნმა“ ეს საკითხი ზაფხულამდე უნდა გადაწყვიტოს, — განაცხადა ეფენბერგმა.

ლეონარდო: პოჩეტინო მიმდინარე სეზონში პსჟ-ს პროექტის ნაწილად რჩება

...ყოველი მარცხის შემდეგ ყველაფერი ნაგვის ურნაში არ უნდა ჩავყაროთ...

ფრანგული პსჟ-ს სპორტულმა დირექტორმა ლეონარდომ განაცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალიდან გამოვარდნის მიუხედავად, კლუბი მთავარი მწვრთნელის პოსტიდან მაურიციო პოჩეტინოს გადაყენებას არ აპირებს.

— ყოველი მარცხის შემდეგ, ყველაფერი ნაგვის ურნაში არ უნდა ჩავყაროთ. არ უნდა ვიწყებდეთ ყველაფერს თავიდან. ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგის მოგებაა. „რეალთან“ მატჩის პირველ ტაიმში ყველაფერი რიგზე იყო...

— გუნდის გაუმჯობესებას უნდა ვესწრაფვოთ, საბრძოლო სულისკვეთება შევინარჩუნოთ, რათა საფრანგეთის ლიგა-1 მოვიგოთ და სეზონი კარგად დავასრულოთ. ერთიანობა გვჭირდება. პოჩეტინო მიმდინარე სეზონში პსჟ-ს პროექტის ნაწილია. ახლა არაა სხვა რამეზე ფიქრის დრო, — განაცხადა ლეონარდომ.

საინტერესოა, რომ პოჩეტინოს თავკაცობით პსჟ-მ 72-დან 12 მატჩი წააგო, ანუ 16,7%. ამაზე უარესი მაჩვენებელი ყატარელი მფლობელების მმართველების პერიოდში კლუბს მხოლოდ ანტუან კომბუარეს მწვრთნელობის დროს (21,4%) ჰქონდა.

ფეტელი ახალ სეზონში უკრაინის ფერებში იასპარეზებს



„ფორმულა 1“-ში მსოფლიოს 4-გზის ჩემპიონმა სებასტიან ფეტელმა უკრაინელ ხალხს მხარდაჭერა გამოუხატა.

„ასტონ მარტინის“ პილოტი ახალ სეზონში უკრაინის დროშის ფერებში შეღებული მუზარადით იასპარეზებს, რომელზეც განთავსდება წარწერა: „არა ომს“.

ლეგენდარულმა კალათბურთელმა ალექსანდრ ვოლკოვმა 57 წლის ასაკში იარაღი აიღო და უკრაინისთვის ომობს

წარსულში ცნობილი უკრაინელი კალათბურთელი ალექსანდრ ვოლკოვი რუსეთის წინააღმდეგ ომში თავისი ქვეყნის დამცველთა რიგებს შეუერთდა.

როგორც „ეუროჰუპსი“ წერს, ჩერნიგოვში ვოლკოვის სახლი რუსმა ოკუპანტებმა დაბომბეს. ახლა იგი, იარაღით ხელში იბრძვის სამშობლოსთვის.

ვოლკოვი 1999-2000 წლებში უკრაინის სპორტის მინისტრი იყო. მას შემდეგ იგი პოლიტიკაში აქტიურადაა ჩართული.

2007 წელს ვოლკოვი უკრაინის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს. ვეტერანი კალათბურთელი კლუბ „კიევის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია და კლუბის პრეზიდენტის პოსტიც ეკავა.

ბიბო კარგუა: მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები ბენზემა და ლევანდოვსკი არიან

მადრიდის „რეალის“ კიპერმა ტიბო კურტუამ მსოფლიოს 2

საუკეთესო ფეხბურთელი დაასახელა:

— ჩემი აზრით, ბენზემა და ლევანდოვსკი ამ მომენტისთვის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები არიან. ბენზემა შესანიშნავი მოთამაშეა, ნამდვილი კაპიტანი. მან თავისი გოლებით და ოსტატობით გუნდს პსჟ-სთან საპასუხო მატჩში გამარჯვება მოუტანა, — განაცხადა კურტუამ.

ISSN 2720-8079
9 772720 807009
გაზეთი რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის შიერ №5988
ფოსტა: ჩუბინაშვილის ქ. №50.
ელ. ფოსტა sport_info@mail.ru